ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8075/01
14/08/2019

8075-01-2-201908141759

შპს „იმგეს“ დირექტორს

ბატონ აიდინ დეგირმენჯს

მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #109

ბატონო აიდინ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 7 ივნისის #8314 წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებით (ს/კ: 05.32.08.735) არ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე, ხოლო წარმოდგენილი GPS კოორდინატები (X=719060; Y=4609496.21) ემთხვევა ფ/პ ჯემალ იაკობიძის საღებავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ტერიტორიის GPS კოორდინატებს (მინისტრის 2019 წლის 3 მაისის #2-380 ბრძანება) შესაბამისად საკადასტრო კოდი საჭიროებს დაზუსტებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განხადებაში განხილული ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ნედლეული და მათი მახასიათებლები ანალოგიურია ფ/პ ჯემალ იაკობიძის საღებავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული (მინისტრის 2019 წლის 3 მაისის #2-380 ბრძანება) სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესისათვის გათვალისწინებული ნედლეულის მახასიათებლებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადებაის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე